საქართ. [illegible] პარტია

ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო.

გაზეთი „ტრიბუნა" ღირს
თვიურად 200,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 10,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი
1 გვ. 60,000 მან.
¼ „ 30,000 „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 800,000 მან.
¼ „ 500,000 „

№ 419 შაბათი, თებერვლის 17 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10,000

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველდღიური საპოლიტიკო სალიტერატურო გაზეთი

„ტრიბუნა"

1923 წლის იანვრის პირველიდან ღირს [illegible] ხელის-მომწერთათვის დაგზავნით და ხელზე მიტანით

თვიურად 200,000 მან.

ცალკე ნომრის ფასი 1923 წლის იანვრის პირველიდან ყველგან 10,000 მან.

გაზეთს ჰყავს საკუთარი კორესპონდენტები: პეტროგრადში, მოსკოვში და საქართველოს მნიშვნელოვან დაბა-ქალაქებში.
ხელის მოწერა მიიღება ყოველდღე, გარდა უქმეებისა გაზეთის კანტორაში: ტფილისი, სასახლის ქ. № 6. ტელეფონი—10—34
ფოსტის ყუთი № 190.

ეროვნული კულტურის განმტკიცებისათვის

ეროვნული კულტურის არსებობა და მისი განმტკიცებისა და წარმატებისათვის ზრუნვის საჭიროება დღეს უდაოა ყველასათვის. ისტორიული ცხოვრების ვითარებამ, თვით ურწმუნონიც კი დაარწმუნა იმაში, რომ ეროვნებისა და მისი კულტურის გადაგვარება, ერთი მთლიანი საერთაშორისო კულტურის შექმნა ყალბი დებულებაა. საერთაშორისო კულტურა მხოლოდ ჯამია ცალკე არსებულ ეროვნებათა კულტურისა. სადი და სწორი პოლიტიკა ყოველთვის მოითხოვდა და დღესაც დაჟინებით მოითხოვს ეროვნული კულტურისათვის შესაფერისი პირობების შექმნას და მასთანვე ყოველ ერთა შორის მტკიცე ურთიერთობის დამყარებას საერთაშორისო მაშტაბში.

ქართველ ერს მრავალ საუკუნეთა ჭალარით შემოსილი წარსული აქვს. თავისი ისტორიული ცხოვრების ვითარებაში ჩვენს ხალხს მრავალგვარი პირობები და მდგომარეობა განუვლია. იყო მომენტები, როგორც საერთაშორისო ურთიერთობაში, ისე შინაურს ცხოვრებაში, როდესაც ჩვენი ერის ვითარება საუკეთესო პირობებში იყო ჩაყენებული და მისი კულტურა ყვაოდა. მაგრამ ჩვენს ისტორიას ახსოვს ამის საწინააღმდეგო პერიოდებიც, როცა პოლიტიკურად რამდენიმე ერთეულად დაყოფილი ჩვენი ეროვნული სხეული საშინელ კულტურულ დეგრადაციას კანიცდიდა. შეიძლება ითქვას, რომ ყველა ამ პერიოდებში ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრების ვითარებაზე თითქმის გადამჭრელი მნიშვნელობა ჰქონდა გარეშე საერთაშორისო მდგომარეობის ფაქტორებს.

მე-19-ე საუკუნე ჩვენთვის მრავალ მხრით არის საინტერესო. რუსეთის დამყარებამ ამიერ-კავკასიაში მოსპო ოსმალეთისა და სპარსეთის ბატონობა, საერთო ომები და შინაური უთანხმოება. გარეგნულად სიმშვიდე ჩამოვარდა და ერს მიეცა საშუალება თავისუფალი კულტურული შემოქმედებისათვის. ფაქტიურად კი რუსეთის იმპერიალისტებმა საქართველოში გადარუსების აგრესიული პოლიტიკა გაატარეს და ჩვენი ერის დენაციონალიზაციას შეუდგნენ. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა ჩვენმა ხალხმა შესძლო თავისი ინდივიდუალობის შენარჩუნება და კულტურის დაწინაურება. ბრძოლა ეროვნული უფლებისათვის,—ეს იყო უმთავრესი ლოზუნგი ქართველი ხალხისა, რომელსაც სურდა საკუთარი პოლიტიკური სახელმწიფოებრიობის აღდგენა და თავისუფალი კავშირი ყველა ნაციებთან. ყოველივე ეს გაუნადგურა ჩვენს ერს რუსეთის დიდმა რევოლუციამ.

მაგრამ რუსეთის რევოლუციამ ჩვენს ხალხს მეორე ბედნიერებაც მოუპოვა. ამდენხანს ქართველი ერის მეთაურად გამოდიოდა გაბატონებული წოდება და მისგან გამოსული ინტელიგენტური ძალები. რევოლუციამ ძირშივე აღმოფხვრა ეს რეაქციონური ძალები და მთელი ძალა-უფლება გადასცა ერის მშრომელ ელემენტებს,—ქალაქისა და სოფლის პროლეტარიატს და გლეხობას, რომელიც ძირითად საფუძველს წარმოადგენს ჩვენი ცხოვრებისა.

ერის კულტურის წარმატება და მისი აყვავება დამოკიდებული არის არა მარტო იმაზე, თუ როგორ არის მოწყობილი მისი პოლიტიკური არსებობა, არამედ იმაზედაც, თუ როგორ მონაწილეობას ღებულობს მისი ცხოვრების მსვლელობაში ფართო მშრომელი მასები. ერის კულტურა უნდა დაეყრდნოს მშრომელ ელემენტებს და მაშინ შეიქნება იგი ძლიერი და შეურყეველი.

საბჭოთა სისტემის უდიდესი ისტორიული ღირებულება იმაშიაც გამოიხატება, რომ ის ეროვნულ კულტურის წარმატებისათვის უძვირფასესს პირობებს ქმნის.

მემარჯვენე ჯგუფები ჩვენი ერის აყვავებას პარლამენტარიზმის გზით და კაპიტალიზმის საშუალებით ფიქრობდნენ: არსებითად ეს ხელს შეუწყობდა ჩვენ ერის გადაშენებას. კაპიტალისტური მეურნეობა მთელს მსოფლიოში შემაფერხებელ ფაქტორად გადაიქცა და მას აღარ აქვს შემოქმედებითი ძალა. კაპიტალიზმი დღეს საერთაშორისო მაშტაბში ყოველ მხრით რეაქციის, დეგრადაციის ძალას წარმოადგენს. ცხადია, ამ მეურნეობის გზით ჩვენ ვერ შევსძლებდით ჩვენი ერის აყვავების გზაზე დაყენებას. საბჭოთა სისტემამ არსებითად შესცვალა ასეთი გეგმები ეროვნული კულტურის სამსახურისათვის და თავის მიზნად დაისახა სოციალიზმისათვის დღესვე ნიადაგის განმტკიცება.

ერი ძლიერი ეკონომიურად—ძლიერია კულტურულადაც. ახალმა ხელისუფლებამ ერის ეკონომიური საფუძვლების გაჯანსაღებისათვის მეტად დიდი ენერგია დახარჯა და თავის შესაფერისს შედეგებსაც მიაღწია. მაგრამ ერის წარმატებისათვის საჭიროა მისი ეკონომიური ძარღვები ერისავე ხელში იყოს მოქცეული და ის განაგებდეს მას.

აი ამიტომ ვართ ჩვენ მომხრე ჩვენი ერის სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისა და მისი შეურყეველ საფუძვლებზე დამყარების. ვისაც სურს ეროვნული კულტურის გაფურჩქვნა, მისი აყვავება და წარმატება, მან ხელი უნდა შეუწყოს, როგორც ჩვენი ეკონომიური ცხოვრების გაძლიერების, ისე მისი პოლიტიკური თვით არსებობის განმტკიცებასა.

ხან-ლონი.

კაპიტალიზმი და ახალი ეკონომიური პოლიტიკა

როდესაც 1921 წელში ამხ. ნ. ლენინმა პირველად გარკვევით წამოაყენა საკითხი ეკონომიურს საკითხში „სამხედრო კომუნიზმიდან ახალს ნიადაგზე გადასვლის აუცილებლობა და ამით ნიადაგი ჩაეყარა ა. წ. ახალ ეკონომიურს პოლიტიკას, მემარჯვენე სოციალისტებმა მ. ლ. მარტოვის მეთაურობით დაუსრულებელი განგაში ასტეხეს როგორც საზღვარგარეთის პრესაში, ისე თავიანთ არალეგალურს გამოცემაში, სადაც ხელაღებით ამტკიცებდნენ, რომ კომუნისტებმა უღალატეს თავიანთ სოციალისტურს პროგრამასა და ახალი ეკონომიური პოლიტიკით კაპიტალიზმის რესტავრაციას ახდენენო. კომუნისტურმა პრესამ და მთელმა ლიტერატურამ არსებითი ყურადღება მიაქცია ამ ახალს პოლიტიკას და გაურკვია ფართო მშრომელ მასებს მისი მნიშვნელობა და რეალური შინაარსი. დღეს, შეიძლება ითქვას, სავსებით გარკვეული არის ამ პოლიტიკის მთავარი ხაზი და მისი ღირებულება. გარდამავალი პერიოდისათვის, ისტორიული ცხოვრების მოთხოვნილებით, აუცილებელი საჭიროება შეიქმნა განსაზღვრული ტიპის სამეურნეო ქვეყნებში, განსაზღვრული ტიპის სამეურნეო ფორმულის შექმნა. რუსეთი თავისი ეკონომიური სტრუქტურითა და სოციალურ კლასების ფენებით წვრილ-ბურჟუაზიული ქვეყანა უფრო არის, ვინემ ფინანსიურ კაპიტალიზმის ნიადაგზე შექმნილი მაღალი კაპიტალისტური მეურნეობის სახელმწიფო. აქ უფრო პარბობს წვრილი სამეურნეო ფორმაციები, რომელშიაც გადამწყვეტ როლს თამაშობს სოფლის გლეხური კულტურა. მიუხედავად წვრილ სამეურნეო კულტურის უპირატესობისა, რუსეთში მაინც დიდი ადგილი ჰქონდა კაპიტალისტურ მონოპოლიასა და საერთოდ კაპიტალისტურს მეურნეობას. ასეთი ეკონომიურ სტრუქტურის მქონე ქვეყანაში შეუძლებელი არის ერთის ხელის მოსმით კომუნისტური მეურნეობის შექმნა. კომუნიზმის დამყარებისათვის საჭიროა მთელი რიგი გარდამავალი პერიოდების გავლა, მიზანშეწონილი ეკონომიური პოლიტიკის წარმოება, რომ სხვა და სხვა ტიპის მეურნეობის წიაღში ჩაისახოს და განმტკიცდეს კომუნისტური წყობილება. არა კაპიტალისტურ მეურნეობის სისტემიდან გადასვლა კომუნისტურს ნიადაგზე ითხოვს დიდ შრომას, დიდ ენერგიასა და მასთანვე დიდ დროსაც.

არავის ეს ისე გარკვევითა და ნათლად არ ესმოდათ, როგორც რუსეთის კომუნარებს, რომლებმაც გარკვეული პროგრამა შეიმუშავეს სოციალური ცხოვრების ტრანსფორმაციისათვის და ფართო მშრომელი მასების ენერგიული დახმარებით ხელი მიჰყვეს საკაცობრიო საქმეს—გარდამავალი პერიოდის გზით კომუნისტური კულტურის შექმნას.

გარდამავალი პერიოდის სამეურნეო სისტემა თავისი შინაარსითა და რაობით კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ელემენტების შეჯაჭვულ კატეგორიას წარმოადგენს. აქ ადგილი აქვს როგორც კაპიტალისტურ მეურნეობის ელემენტებს, ისე სოციალისტური წყობილების ფორმაციებს, 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალება ამ ზოგადი პროგრამით ხასიათდებოდა და იგი სრულებით არ ისახავდა მიზნად დღესვე კაპიტალისტური მეურნეობის აღმოფხვრასა და დღესვე სოციალიზმის შექმნას. მშრომელი ხალხის პოლიტიკური დიქტატურის საშუალებით თანდათანობითი შევიწროება და ლიკვიდაცია კაპიტალიზმისა, რომლის პარალელურად უნდა განვითარებულიყო და ნიადაგი ჩაეყარა სოციალისტურს მეურნეობას, აი ოქტომბრის გადატრიალების ეკონომიური პროგრამის შინაარსი.

მაგრამ რევოლუციონური მოძრაობის შემდეგმა განვითარებამ და სამოქალაქო ომის გაჩაღებამ მოითხოვა ამ პროგრამის რამოდენიმედ რადიკალური გზისაკენ გადახრა და სასტიკი დიქტატურული ზომების მიღება ეკონომიურს ფრონტზე ამხედრებულ ბურჟუაზიის ასალაგმავად. ამ საფუძველზე აღმოცენდა „სამხედრო კომუნიზმი", რომელიც გამოწვეული იყო ისტორიული აუცილებლობის კარნახითა და რომელიც მოითხოვდა მთელი სამეურნეო ცხოვრების პროლეტარული სახელმწიფოს ხელში თავის მოყრას, მაგრამ, როდესაც ამ პოლიტიკის გამომწვევი მიზეზები მოისპო და სამოქალაქო ომის ლიკვიდაცია მოხდა, კომუნისტურმა პარტიამ შეისწავლა თავისი ახალი პროგრამა სამხედრო პერიოდისა და შეუდგა ოქტომბრის პირველი დღეების ძირითად გეგმების განხორციელებას, ამას მოითხოვდა როგორც რუსეთის ცხოვრების სოციალური სტრუქტურა, ისე პოლიტიკური მიზანშეწონილობა. მემარჯვენე სოციალისტებმა ახალ ეკონომიურს პოლიტიკაში დაინახეს ოქტომბრის ლოზუნგებიდან გადახვევა და კაპიტალიზმის რესტავრაცია, ისტორიულად ეს მართალი არ არის და ახალი ეკონომიური პოლიტიკა აგებულია ოქტომბრის რევოლუციის მაგარს საფუძვლებზე. ერთს თავის სიტყვაში ამხ. ნ. ლენინმა სრულიად სამართლიანად აღნიშნა, რომ ჩვენს ახალს ეკონომიურს პოლიტიკაში მრავალია ძველი, ოქტომბრის დღეებისა, ვინემ „სამხედრო კომუნიზმის" პოლიტიკაში.

როგორც ვხედავთ ახალი ეკონომიური პოლიტიკა არ არის გადახვევა ძველი პროგრამულ პრინციპებისაგან, ეს მისი ძირითადი საფუძვლების განხორციელება არის ფაქტიურად.

მაგრამ მარტო ამ პრინციპებით არ კმაყოფილდებიან მემარჯვენე სოციალისტები: ისინი ამ პოლიტიკაში ხედავდნენ და დღესაც ხედავენ კაპიტალიზმის რესტავრაციას. კომუნისტები კაპიტალისტური მეურნეობის აღდგენას შეუდგნენ ეკონომიკაში, მხოლოდ პოლიტიკურ ასპარეზში არ სურთ ხელი აიღონ ბატონობაზეო; მათი აზრით ახალ ეკონომიკის წიაღში, მიუხედავად პროლეტარიატის პოლიტიკურ-დიქტატურისა, კაპიტალიზმი იმდენად განმტკიცდება და გაიზრდება, რომ ბოლოს წალეკავს არსებულს ხელისუფლებას და აღადგენს თავის ბატონობას ცხოვრების ყოველ დარგში.

როგორც ვიცით, მემარჯვენე სოციალისტები, კაპიტალისტური მეურნეობის დამცველებად გამოდიან და მის მეთოდებში ხედავენ მსოფლიოს ხსნას. ცნობილი მარტოვი და მთელი 2 ნახ. ინტერნაციონალი ერთ დროს, (1918—20 წლებში) სოციალისტური პროგრამით გამოდიოდნენ და კომუნისტებთან შეთანხმების შესაძლებლობას ეძებდნენ. მაგრამ, ეს იყო დიდ რევოლუციონურ მოძრაობის პერიოდში. როდესაც ეს მოძრაობა რამოდენიმედ მინელდა და კაპიტალი შეტევაზე გადმოვიდა პროლეტარიატის მიმართ, ამ ინტერნაციონალმაც თავისი გეზი კაპიტალიზმისაკენ გადახარა და სოციალისტური პოლიტიკის საწინააღმდეგო პროგრამა წამოაყენა. 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალებმა შესძლეს ერთი საერთო ენის მონახვა კაპიტალიზმის დიად მისიის შესახებ და ორგანიზაციულადაც გაერთიანდნენ. დღეს მათი პროგრამის ძირითად ამოცანას შეადგენს კაპიტალიზმის რესტავრაცია და პარლამენტარიზმის აღდგენა როგორც მთელს მსოფლიოში, ისე რუსეთშიაც.

ცხადია ასეთი პროგრამის მქონე ხალხი ახალ ეკონომიურ პოლიტიკაში თავიანთ გეგმების გამართლებას დაინახავდნენ. მაგრამ შინაარსი ამ პოლიტიკისა ძირშივე სპობს საკითხის ასეთს გაგებას. ახალი ეკონომიური პოლიტიკის დროს სამეურნეო ცხოვრების უმთავრესი დარგები ტრანსპორტი, ინდუსტრია, სამთო მრეწველობა და მთელი მთავარი სალგომები ყოველი დარგისა მოთავსებული არის პროლეტარულ სახელმწიფოს ხელში და ის აძლევს შინაარს მთელი სამეურნეო ცხოვრების ვითარებას. მეორეს მხრით, არის მეორეული კატეგორიები, სადაც სახელმწიფო და კერძო კაპიტალისტები შეთანხმებულად აწარმოებენ მეურნეობის განსაზღვრულ დარგებს. მესამე კატეგორიას შეადგენს ის ფორმები მეურნეობის, რომელნიც კერძო პირთა ხელშია, მაგრამ არსებითად დამოკიდებულნი არიან პირველი კატეგორიისაგან და მათ გარეშე წარმატება არ შეუძლიათ. ცხადია, ასეთს პირობებში, როდესაც სამეურნეო ცხოვრების მთელი სადავეები პროლეტარიატს უჭირავს ხელში და ის აძლევს მას საჭირო გეზს, კაპიტალიზმის რესტავრაციაზე ლაპარაკი ზედმეტია.

მემარჯვენე სოციალისტები ვერ ერკვევიან ახალ პოლიტიკის შინაარსში. ამ მხრივ მათ ბევრად გაუსწრო სხვა და სხვა ჯურის ბურჟუაზიული ელემენტების იდეოლოგებმა. ჩვენ არა ერთხელ მოგვიყვანია შეხედულებანი ამ მიმართულებისა საბჭოთა ხელისუფლების შესახებ, რომელნიც „სმენოვეხოვცების" სახით შეიქმნა ბურჟუაზიის იდეოლოგია წიაღში. ზედმეტი არ იქნება აქ მოვიყვანოთ მათი აზრი ახალ ეკონომიური პოლიტიკის შესახებ, რომელშიც ნათლად და მკაფიოდ არის აღნუსხული რაობა ამ პოლიტიკისა.

ბერლინის „ნაკანუნეში" (№ 244) მოყვანილია ხარბინის „ნოვოსტი ჟიზნის" პროფესორ უსტრიალოვის წერილის შინაარსი, რომელშიაც იგი სწერს შემდეგს ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ:

ახალი ეკონომიური პოლიტიკა არის პოლიტიკა საბჭოთა სახელმწიფოსი, და არა ძველი პოლიტიკა კაპიტალისტური; ამ პოსტულატის ფარგლებში დამყარებული არის უკან დახევა არა სოციალისტური სამეურნეო საშუალებებისაკენ.

ხომ შესაძლებელია მეცნიერულად დამტკიცებულად ჩაითვალოს, რომ ისტორიაში არ არის წმინდა ტიპები სოციალურ ორგანიზმებისა. განა თანამედროვე კაპიტალისტურ ორგანიზმში აღმოჩენილია ყველა მხარეები და თავისებურებანი ფეოდალური წყობილებისა. განა კაპიტალისტური წყობილება გამოცხადდა როგორც დეუს ექს მახინა და გამოუცნობ სივრცეში გაფანტა წარსულის მთელი ისტორია? და თუ ახლა ვხვდებით ბოლშე სოციალისტური მშენებლობის შეთავსებას კაპიტალიზმის ელემენტებთან, ეს ისეთივე მიზანშეწონილი ისტორიული მოვლენაა, როგორც პროცესი კაპიტალისტურ მშენებლობისა ფეოდალურ გარემოში. ნიშნავდა თუ არა ეს წარსულში მას, რომ კაპიტალიზმი დამარცხებული იქნებოდა ძველი საზოგადოებრივი ორგანიზმის წიაღ? ნიშნავს თუ არა ეს ახლა მას, რომ სოციალისტური მშენებლობა უთუოდ დამარცხებული იქნება „ნეპის" მიერ?

ავტორი ამ კითხვაზე უარყოფითად უპასუხებს.

აღსანიშნავია ერთი გარემოება: ის, რაც გასაგები შეიქნა ბურჟუაზიის იდეოლოგებისათვის, რომლის მასაზრდოებელი კლასი დღეს სასიკვდილო ჭრილობას განიცდის პროლეტარიატის ხელისუფლების ძალდატანებით, სრულიად გაუგებარი გახდა ქედ-მაღალი სოციალისტ. მარტოვისათვის: იქ, სადაც მემარცხენე კადეტი უსტრიალოვი ბურჟუაზიის სიკვდილს ხედავს, სოციალისტ მარტოვს კაპიტალიზმის რესტავრაცია ელანდება.

მაგრამ მოჩვენებებზედ აგებული პოლიტიკა ცხოვრების გარდამქმნელ ფაქტორად ვერ გადაიქცევა.

Sanns

ნარკვევი

გაფიცვა ფრიც ტისსენისათვის და გერმანელი სოც.-დემ. ტაქტიკა.

გაზ. „იზვესტია“ ეხება გერმანელ სოც.-დემოკრატების ტაქტიკას რურის უკანასკნელი ამბებთან დაკავშირებით. მოგვყავს ეს წერილი შემოკლებით.

7 იანვარს დასავლეთ ევროპის შვიდი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტების წარმომადგენლებმა, რომლებიც შეიკრიბენ ესსენში, მიმართეს მეორე და ვენის ინტერნაციონალებს წინადადებით შექმნილი ყოფილიყო მთლიანი პროლეტარული ფრონტი რურის ოკუპაციის საწინააღმდეგოთ. ამ წინადადებისთვის პასუხი არ გაუციათ. 13 იანვარს კომინტერნის აღმასკომმა იმავე წინადადებით მიმართა მეორე და ვენის ინტერნაციონალებს. სოციალ-პატრიოტების ბელადები სდუმდენ და ამ დუმილს განაგრძნობდენ 16 იანვრის შემდეგაც, როდესაც მთელი დასავლეთ ევროპის კომუნისტურ პრესაში გამოქვეყნებული იყო ღია წერილები ამხ. ცეტკინის, ნიუბოლტის, რადეკის და გეკკერტის.

ტაქტიკა, რომელსაც ადგანან შეიდემანელები ამ ჟამათ, მათ ნათლათ ახასიათებს სრული უნიათობა არა მარტო გერმანელი ს.-დ., არამედ მათ დასავლეთ ევროპის მეგობრებისაც: გერმანელ სოც.-პატრიოტები იძულებული არიან აწარმოონ ეს ტაქტიკა, რადგან სხვა პოლიტიკის გატარება მათ არ შეუძლიათ. როგორი არის ეს ტაქტიკა და რით აიხსნება ის?

რურის დაკავების დაწყებისთანავე სოციალ-დემოკრატები პირდებოდენ მუშათა მასსებს დასავლეთი ევროპის სოციალისტური პარტიების სწრაფ დახმარებას. ისინი განზრახ გაჩუმებული იყვენ ფრანგი კომუნისტების მოქმედების შესახებ და მხოლოდ კაშენის დაპატიმრების შესახებ მოათავსეს რაღაც. სამაგიეროთ შესფერათ ბერავდენ ამსტერდამელების „მზადებას“. ამავე დროს „ფორვერტსმა“ კამპანია გამართა საბჭოთა რუსეთის წინაალმდეგ და ამტკიცებდა, რომ გერმანელ ხალხს რუსეთზე დასაიმედებელი არა აქვს რა, რომ პირიქით, ეს იმედები მეტად საფრთხილო არის, რადგან რუსეთი სამხედრო პოლიტიკას აწარმოებს და ისწრაფვის.... გერმანია ომში ჩააბასო!

მიუხედავად ამისა, დასავლეთ ევროპის მეგობრები გერმანელი სოციალ-პატრიოტებისა არავითარ პროტესტის შესახებ არ ფიქრობდენ, პირიქით, ბელგიელ სოციალ-პატრიოტებმა სავსებით დაადასტურეს თავიანთი მთავროპის პოლიტიკა და ერთმა მათგანმა, ვინმე იუბენმა, „სინანული„ გამოსთქვა იმის გამო, რომ გერმანელი სოც.-დემ. „პროტესტს აცხადებენ რურის დაჭერის წინაალმდეგ“. დე-ბრუკერმა კი პარლამენტის ხსდომაზე ის გარემოება მოიგონა, რომ გერმანელი სოც.-დემ. 1914 წელს არ ეწინაალმდეგებოდენ ბელგიის დაკავებას და რომ „შეიდემანის სახელი საუკუნოდ დაფარულია გადაურეცხელი სირცხვილით“. მსგავსსავე განწყობილებას ქონდა ადგილი გერმანელ შეიდემანელების ფრანგ მეგობრებში.

არაა გასაკვირი, რომ ასეთ პირობებში შეიდემანელები დასავლეთ ევროპის სოციალ-გამცემლების „აქციებზე“ ვერ დაემყარებოდენ. ამიტომ მათ გადასწყვიტეს საკუთარ აქციაზე დამყარება, რომელსაც წარმოადგენდა გაფიცვა სტინნესის და ტისენის მაღაროებში. მიზეზი ამ გაფიცვისა იყო ტისსენის და მაღაროს ხუთი დირექტორის დატუსაღება. ინჟინრებმა და უმაღლეს მოსამსახურეებმა მაშინ უარი განაცხადეს მუშაობაზე და მოითხოვეს „შეფის“ განთავისუფლება. მუშები, რომელთაც არ ქონდათ საშვალება განეგრძოთ მუშაობა უინჟინრებოთა და ტეხნიკურ მოსამსახურეთა გარეშე, იძულებული გახდენ „გაფიცულიყვენ“, შეეწყვიტათ მუშაობა. შეიდემახელებმა, რომელთაც არ მოუწოდებიათ გაფიცვისკენ მუშების მკვლელობების შემთხვევების დროსაც კი (მაგ. ბოხუმში),—ფრიც ტისსენის დატუსაღების გამო კი წამსვე მოუწოდეს გაფიცვისაკენ, იმ ტისსნნის, რომელიც ამ მცირე ხნის წინათ რვა საათის სამუშაო დღის გაუქმებას მოითხოვდა. „ფორვერტსი“ ასე ასაბუთებს ამ გაფიცვის აუცილებლობას: ფრანგების მიერ დატუსაღებული დირექტორები „მხარს უჭერდენ კარგ დამოკიდებულებათ მუშებისადმი. მაგრამ ისინი რომ კიდევაც მტრები ყოფილიყვენ მუშათა კლასისა, მაშინაც კი მუშები უნდა წასულიყვენ მათი უსამართლო დატუსაღების წინაალმდეგ“.

ადვილი ასახსნელია, თუ რისთვის გახდენ შეიდემანელები გაფიცვის მომხრენი, რათ უჭერენ ისინი მას მხარს. მთელი გერმანეთის ბურჟუაზია მომხრე არის ამ გაფიცვისა, აქებს მას. მსგავსსვე პოლიტიკას იცავენ სოციალ-დემოკრატებიც; ისინი ცდილობენ გამოიყენონ რურის დაკავება ბურჟუაზიასთან მთელი ფრონტის გასამაგრებლად, ბურგფრიდენის შესაქმნელად. მათ ეშინიათ დაჭერილი ადგილების მუშების მოწოდების საერთო გაფიცვისადმი, რადგან იციან, რომ ასეთი გაფიცვა საბოლოოდ გადაიქცევა რევოლიუციონურ გაფიცვათ, რომელსაც მათთვის მეტად არასასურველი შედეგები მოყვება.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ინგლის-ამერიკის მოლაპარაკება. ბრიტანეთის კაბინეთმა თანხმობა განაცხადა ამერიკის პირობების მიღებაზე. ამ პირობის მიხედვით ინგლისმა უნდა გადაუხადოს ამერიკას მთელი თავისი ვალი 62 წლის განმავლობაში, რა თქმა უნდა, შესაფერისი პროცენტების რეალიზაციით. ვალის აღების დღიდან, ე. ი. 1917 წ. ვალების საბოლოო ლიკვიდაციამდე, ინგლისმა უნდა გადაიხადოს 4 ნახ. პროც. 5 პროც. მაგივრად. ვალის მთელი ჯამი უდრის დაახლოებით ოთხს მილიარდს დ 750 მილიონ დოლარს.

როგორ გახცა პალატამ კაშენი. კომუნისტ დეპუტატის მარსელ კაშენის დეპუტატის ხელშეუხლებლობისაგან განთავისუფლება ერთი სამარცხვინო აქტთაგანია საფრანგეთის პარლამენტისა. სხდომაზე თავმჯდომარეობდა არა რაულ პერე, პალატის თავმჯდომარე, რომელიც არ ეთანხმებოდა კომუნისტ დეპუტატების დევნას, არამედ დეპუტატი არაგო. სხდომის განმავლობაში დიდს ხმაურობას ქონდა ადგილი და პარლამენტის მარცხენასა და მარჯვენა ფრთების შეხლა-შემოხლას. ცენტრის მთელ რიგ დეპუტატებმა, რომლებსაც არ შესწევდათ ვაჟკაცობა მთავრობის სურვილის წინააღმდეგ ხმის მიცემისა, მაინც დასტოვეს სხდომის დარბაზი. იმათ ვერ მოინელეს ის სამარცხვინო სცენა, რომელსაც წარმოადგენდა პარლამენტი. რამოდენიმე დეპუტატი შეეტაკა ერთმანეთს. ბლომად მოხვდა მუშტები მებრძოლ დეპუტატების გამთიშველებს. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ კამათის პროცესში ცარიელი იყო მთავრობის სკამები. განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობდა შინაგან საქმეთა მინისტრის არ ყოფნა, რომელმაც პირველად დაიწყო კომუნისტების საწინააღმდეგო კომპანია. იუსტიციის მინისტრი შეჩერდა მხოლოდ ფაქტიურ შენიშვნებზე და სრულებით არ შეხებია საქმის პოლიტიკურ მხარეს.

მარსელ კაშენის სიტყვამ მოახდინა დიდი შთაბეჭდილება. არა მარტო სოციალისტური, არამედ რადიკალური მიმართულების დეპუტატებიც კი მოითხოვდნენ საქმის ხელახლად გადასინჯვას. მაგრამ პალატამ ვერ გაბედა პუანკარეს და მის „ამხანაგების“ წინააღმდეგ წასვლა. „სოციალისტი“ ერშის გამოსვლა სკანდალით დამთავრდა, რადგან ერში მხარს უჭერდა რეაქციონერთა სურვილს. ერშის სიტყვას დიდის აურ-ზაურით შეხვდა პარლამენტის მარცხენა ფრთა.

საფრანგეთის ფინანსები. საფრანგეთის ფინანსთა მინისტრმა შეიტანა პალატაში ახალი კანონ-პროექტი, რომლის მიხედვით 20 პროც. უნდა გადიდეს პირდაპირი და არა პირდაპირი გადასახადები, გარდა გადასახადისა შემოსავლის კვალობაზე. ამ გზით მინისტრი ფიქრობს დეფიციტის 3 ნახ. მილიარდი ფრანკის დაფარვას. კანონს ექნება ძალა მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში. კანონ-პროექტის დასაბუთებაში ნათქვამია სხვათა შორის, რომ ასეთი ზომები მოხსნილი იქნება მას შემდეგ, როდესაც გერმანია გადაიხდის თავის ვალებს.

გაზეთი „ტანი“ უკმაყოფილოა ამ კანონით. „რატომ უნდა მივმართოთ ამ ზომას.—კითხულობს გაზეთი — ისეთ დროს, როდესაც ჩვენ უკვე გამოვიჩინეთ დიდი ენერგია გერმანიის მიმართ?“ აშკარაა, ფინანსთა მინისტრი დიდს იმედებს არ ამყარებს რურის ოლქის ოკუპაციის გზით ფინანსების საქმის გაჯანსაღებაზე.

რურის ოლქის ოკუპაცია

გერმანიის აუტანელი მდგომარეობა.

პარიზი. 16 თებერვალი. ბერლინში გაზეთ „ახტურ-აბენდ ცეიტუნგ“-ში ყოფილი სტატს-სეკრეტარი მიულერი ათავსებს წერილს, რომელშიაც ძლიერ პესიმისტურად უცქერის გერმანიის მომავალ ეკონომიურ მდგომარეობას. ის ფიქრობს, რომ საფრანგეთ-ინგლისის ბლოკადა გამოიწვევს რამოდენიმე მილიონ მუშების უმუშევრობას. სამრეწველო პროდუქტების ექსპორტი მცირდება და გერმანიას საშუალება ესპობა შეისყიდოს საზღვარ-გარეთიდან შემოსული საქონელი.

ესენში

ჰანოვერი 16 თებერვალი. ესენის ბურგომისტრის შეფერის დაპატიმრების საპროტესტოთ გაიფიცენ მუნიციპალური მოხელეები და ჩინოვნიკები. ესენის ქუჩებში დადის ხალხთა გროვა. საოკუპაციო ჯარების განწყობილება ნერვიულია. საფრანგეთის ჯარები გარს უვლიან შენობებს, ახდენენ უწესოებას და მიაქვთ უფასოდ სხვა და სხვა საქონელი. სასტუმროებში შეწყვეტილია ვაჭრობა. გერმანიის ხელისუფლებები გამოსთქვამენ შიშს, რომ ფრანგების უკანასკნელი ძალადობა გამოიწვევს საშიშარ კონტრ-გამოსვლებს.

შენობების რეკვიზიცია

ჰანოვერი. 16 თებ. ესენიდან იტყობინებიან, რომ რეინის და ვესტფალის გაზეთების შენობები ჯერ კიდევ დაკავებულია საფრანგეთის ჯარების მიერ. „ალგემეინე ცეიტუნგის“ გამომცემლობა აკრძალულია 2 კვირით.

ფრანგები ბრძანებას იძლევიან რეკვიზიციისათვის დანიშნული შენობები განთავისუფლებულ იქნეს ნახევარი საათის განმავლობაში.

ფრანგების ძალადობა

ჰანოვერი. 16 თებ. ესენის ელექტრონულ სადგურის დირექტორი და იმავე სადგურის ორი მოსამსახურე დააპატიმრეს და მიუსაჯეს მათ გაუსამართლებლად 20 დღის საპყრობილეში ჩაჟენა.

იტაცებენ ნახშირს.

ჰანოვერი 16 თებერ. კელნის გაზეთი იტყობინება, რომ ორშაბათს დღისით საფრანგეთის პოლიციის გემი საფრანგეთის დროშის ქვეშ შეიჭრა კელნის რაიონში ნახშირის სარეკვიზიციოთ, რომელიც დანიშნული იყო იტალიაში გასაგზავნათ. ინგლისის პოლიცია იძულებული შეიქნა შეეჩერებია ნახშირის შემდეგი რეკვიზიცია.

მუშები უმკლავდებიან

პარიზი 16 თებერვალი. გერმანელ გაფიცულ რკინისგზელების მდგომარეობა უცვლელია, თუმცა კი მოსჩანს მოდუნების სიმპტომები იმის გამო, რომ ვორმსში, ტრევში და მაინცში ხელთ იგდეს საგაფიცვო ფონდი, რომელიც უნდა მოხმარებოდა გაფიცულთათვის დახმარების საქმეს.

ბლოკადას აფართოებენ.

პარიზი. 16 თებერ. გენერალმა დეგუტმა გაავრცელა მთელს დაკავებულ ტერიტორიაზე „ბრძანება გერმანიაში, მარცვლეულობის გარდა, ყველა პროდუქტების გატანის აკრძალვის შესახებ.

ჰანოვერი, 15 თებ. ესსენში სწარმოებს საქონლის გაძლიერებული რეკვიზიცია, რომელიც გამოწვეულია წვრილი ვაჭრების მიერ გამოცხადებული ბოიკოტით.

ინგლისის მუშები რურის ოკუპაციის წინააღმდეგ.

პარიზი. გაზ. „ტანმა“ გამოაქვეყნა ინგლისელ მუშების პროტესტი რურის ოკუპაციის წინააღმდეგ. ინგლისის დამოუკიდებელმა მუშათა პარტიამ წერილით მიმართა საფრანგეთის, ბელგიის და გერმანიის სოციალისტებს რურის ოკუპაციის გამო. ეს წერილი გმობს საფრანგეთის პოზიციას და აცხადებს, რომ ინგლისის ხალხის უმრავლესობა წინაალმდეგია ვერსალის ხელშეკრულებისა.

მრავალ მუშათა ორგანიზაციები აქვეყნებენ პროტესტს საფრანგეთის წინაალმდეგ და ბრალს სდებენ დიდი ბრიტანეთის მთავრობას. პროტესტის თეზისები დაახლოვებით შემდეგი შინაარსისაა: ჯერ ერთი უარი სთქვან საფრანგეთის ჯარებისათვის დახმარებაზე, მაგალითად, ნება არ მისცენ ფრანგებს გაიარონ ინგლისელების მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე; მეორე—გაემიჯნონ საფრანგეთის მთავრობის პოლიტიკისაგან. მესამე—უარი სთქვან ყოველგვარ სარგებელზე, რომელიც შეუძლია მოუტანოს მათ საფრანგეთის მთავრობის მოქმედებამ, მეოთხე—მიიღონ ყოველგვარი ზომები საოკუპაციო ჯარების გერმანიიდან გასაწვევად.

იტალია მშვიდობიანობის მოყვარეობას იჩენს.

რომი. 15 თებერვ. თემთა პალატაში მეფის მიერ წარმოთქმულ სიტყვის საპასუხოთ, იტალიის ოფიციალური პრესა აცხადებს, რომ იტალია არ იღებს მონაწილეობას სამხედრო მოქმედებაში და კმაყოფილდება მხოლოდ ტეხნიკური კანტროლით რურის ოლქში. ამ მხრივ იტალიის პოზიცია უფრო მშვიდობიანია, ვიდრე ინგლისისა, რომელმაც უარი განაცხადა ტეხნიკურ კანტროლში მონაწილეობაზე, მაგრამ რურის ოლქიდან არ გაიწვია თავისი ჯარები.

უმუშევრობის საფრთხე.

პარიზი. 15 თებერვ. გერმანიის მთავრობამ, რომელიც სდგას უმუშევრობის საფრთხის წინაშე, შეჰკითხა წარმოებების მეპატრონეებს, შეუძლიათ თუ არა მათ ჯამაგირის მიცემა მუშებისათვის უმუშევრობის დროს. მეპატრონეებმა განაცხადეს, რომ მათი მდგომარეობა ამას ხელს არ უწყობს.

მუშების სოლიდარობა.

ლონდონი. 15 თებერვ. გერმანიის რკინის გზელთა ფედერაციის თავმჯდომარემ შეტტილმა „ნიუ-იორკ ტრიბუნა“-ში განაცხადა, რომ რურის მუშები და რკინისგზელები არავითარ შემთხვევაში არ მიიღებენ საფრანგეთის ულტიმატუმს. დღეს გერმანიის რკინისგზელთა ფედერაციამ მიიღო დახმარება ბრიტანეთის რკინისგზელთა უნიონისაგან. ამერიკის რკინისგზელებმაც გაიღეს დახმარება, რაც ალბად ძლიერ მნიშვნელოვანი იქნება. მთელს გერმანიაში ხდება შემოწირულებათა მოგროვება გაფიცულ რკინისგზელთა სასარგებლოდ. შემდეგ შეტტელმა აღნიშნა, რომ ამ ჟამად მდგომარეობა რურის ოლქში შედის რთულ ფაზისში.

ლორდ გრეის განცხადება.

ნაუენი. 15 თებერვ. ლორდ გრეიმ განაცხადა, რომ საფრანგეთის პოლიტიკა არა თუ შემცდარია, არამედ მას მივყევართ უბედურებისაკენ. მაგრამ ამ გარემოებას ინგლისი დუმილით უნდა შეხვდეს. ლორდ გრეი მოითხოვს ერთა ლიგის არბიტრაჟის დაწესებება, აღნიშნავს რა, რომ ამ ჟამად ინგლისის ჩარევა დარჩება უშედეგოდ.

საბოტაჟი.

პარიზი, 15 თებერვალი. საფრანგეთის პრესის ცნობით, დაკავებულ ოლქებში გრძელდება გერმანელ მოხელეების და მოსამსახურეების საბოტაჟი. გენ. ფურნიე დახურვით ემუქრება იმ სავაჭროებს და დაწესებულებებს, რომლებიც დახმარებას არ აღმოუჩენენ საოკუპაციო ჯარებს.

წინააღმდეგობა გრძელდება.

პარიზი, 15 თებერ. დიუსელდორფიდან იუწყებიან, რომ რეინის მარცხენა სანაპიროების მოხელეები განაგრძობენ წინააღმდეგობას. გერმანიის პროპაგანდისტები ღამით აკრავენ ქალაქში პლაკატებს, რომელშიაც მოუწოდებენ საფრანგეთის ჯარის-კაცებს არ დაემორჩილონ სარდლობას.

აღმოსავლეთი

ქემალ-ფაშის სიტყვის გამო.

მოსკოვი, 15 თებერ. სმირნაში მიტინგზე ქემალ-ფაშამ სთქვა: „ვინც მოინდომებს დაუბრუნოს ჩვენს ხალხს რეაქცია, ის ჩამწყვდეულ იქნება ციხეში. ვინც ხელს წაუპოტინებს ერის უფლებებს, ის ხალხის მიერ შუაზე იქნება გაგლეჯილი“.

ქემალ ფაშის ამ განცხადებამ მხურვალე ტაში გამოიწვია.

ლოზანას კონფერენციის საკითხის შესახებ ქემალმა სთქვა: „ჩვენ ვერ მივიღებთ მოკავშირეების მიერ წარმოდგენილ საზავო ხელშეკრულების პროექტს. უკეთესია სახელოვანად დავიხოცოთ ეხლა, ვინემ ავიტანოთ მრავალი წლეების დამცირება შემდეგში“.

ქემალმა ხაზგასმით აღნიშნა ოსმალეთ რუსეთის გულწრფელი ურთიერთობა, რომელიც დაფუძნებულია შეურყეველ პრინციპებზე და დღითი დღე მტკიცდება.

სმირნის ნავთსადგურში.

მოსკოვი, 15 თებერ. ოსმალეთის ხელისუფლებამ ულტიმატუმი წაუყენა გემებს დასტოვონ ნავთსადგური სამი დღის განმავლობაში.

მდგომარეობა გერმანიაში.

ოქროს მარკის ხმარება.

მოსკოვი. 15 თებერ. გერმანიის სახალხო მეურნეობის მინისტრის განცხადების თანახმად ახლო მომავალში გერმანიაში შე[illegible] იქნება [illegible] მარკის ხმარება.

გერმანი[illegible] ტეტებს შორის.

მოსკოვი, 15 თებერ. რეინის და ვესტფალის ფაბრიკა ქარხნების კომისიამ მიმართა მოწოდებით საფრანგეთის, გერმანიის, ბელგიის და ინგლისის სოც. დემოკრატიულ და კომუნისტურპარტიებს და აგრეთვე ამსტერდამის და წითელ პროფინტერნს, გერმანიის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების საერთო კომისიას, საფრანგეთის და გერმანიის კომპარტიების სამოქმედო კომიტეტებს, რომელშიაც კომისია მოითხოვს რათა მოწვეულ იქნეს ყველა ორგანიზაციების კონფერენციები ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების ესსენის კონფერენციის დადგენილებათა განსახილველად.

4 მარტს გაიხსნება რეინისა და ვესტფალის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კონფერენცია.

უცხოეთი

სიკვდილით დასჯა იტალიაში.

მოსკოვი. 15 თებ. გაზ. „ნიუიორკ-გერალდის“ შრომის კორესპოდენტი ამტკიცებს, რომ იტალიაში კომუნისტების მასიურ დაპატიმრების გამო მუსოლინს განზრახული აქვს შემოიღოს სიკვდილით დასჯა.

დაპატიმრება ლატვიის მუშათა შორის.

მოსკოვი. 15 თებ. ლატვიის ახალმა მთავრობამ მოახდინა მუშების მასიური დაპატიმრება ლატვიის პროვინციელ ქალაქებში.

რენტგენის გარდაცვალება.

მოსკოვი. 15 თებ. მიუნხენში გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი ვილგელმ რენტგენი, რომელმაც აღმოაჩინა იქსსხივები.

კომუნისტების დატუსაღება.

რომი. 15 თებერ. მილანში აღმოჩენილია იარაღის საწყობი და ფარული სტამბა. ამის გამო დატუსაღებულია 2 კომუნისტი.

შავი ყორნები.

რომი. 15 თებ. ფაშისტების დიდმა საბჭომ, სანტა-მარგარატას ხელშეკრულების რატიფიკაციის გამო დაადგინა შეუთვალოს სალამი დალმაციაში მყოფ იტალიელ „ძმებს“, რომლებიც დიპლომატიურ მოსაზრებების მძიმე პირობების გამო მოსწყდენ თავის „დედა-სამშობლოს“.

მდგომარეობას აწესრიგებენ.

რომი. 15 თებ. ფაშისტებისა და ნაციონალისტების განსაკუთრებულმა ფარულ კომისიამ დანიშნა აღმასრულებელი კომიტეტი, რომლის დანიშნულებაა—სამხრეთ-იტალიაში ფაშიზმის მდგომარეობის მოწესრიგება.

რუსეთი

ამხ. რადეკის წერილიდან.

მოსკოვი. 15 თებერ. საზღვარ-გარეთიდან დაბრუნებული ამხ. რადეკი, გაზ. „რაბოჩაია გაზეტაში“ სწერს: „ცნობები გერმანელ მუშების დიდი ეროვნულ აღტყინების შესახებ, საფრანგეთის ჯარების რურის ოლქში შესევის გამო, ზღაპარია. რურის მუშები არა პირველად განიცდიან სამხედრო ოკუპაციას: 1919 წელს მათ ანადგურებდენ ნოსკეს ბანდები, 1920 წ. კაპპის აჯანყების შემდეგ—გენერალ ვაცერის ჯარები. მუშათა მასებს ეს არ დავიწყებიათ და მხოლოდ მისი უმნიშვნელო ნაწილი გაიმსჭვალა ნაციონალური სულით, როდესაც გერმანიის თეთრი ჯარების ნაცვლად რურის ოლქში საფრანგეთის ლურჯი ჯარები შეიჭრენ. რურში გაფიცვა მოწყობილ იქნა ფაბრიკის ადმინისტრაციის მიერ. მუშათა მასების განწყობილებ პასიურია. ისინი ვერ გრძნობდენ საკმა ძალას, რომ დამოუკიდებლად გამოსუ ლიყენ. მთავარ მათ საზრუნავ საგან ლუკმა პურის შოვნა შეადგენს: მათ აშ ნებს შესაძლებელი უმუშევრობა ცხოვრების გაძვირება „რა იქნება შე დეგ?“ ეს საკითხი არ ასვენებს დღ მუშათა მასებს. თუ ასე გაგრძელდა მ შების პასიურობა სასოწარკვეთილებ გადაიქცევა. შესაძლოა გერმანიის რ ნის და ნახშირის ბარონებმაც ერთა ერთი ხსნა დაინახონ რევოლიუციონ გამოსვლებში და არა საფრანგეთის ხ ტებში“.

გერმანელ მინისტრების რურში შე ლის აკრძალვის შესახებ.

მოსკოვი. 15 თებერ. გერმანიის მ რობისადმი გაგზავნილ ნოტაში, რომე

გერმანელი მინისტრების ჩასვლის აკრძალვას ეხება, აღნიშნულია, რომ კუნოს მოგზაურობამ რურის ოლქში მრეწველებსა და მოსამსახურეთა შორის სახიფათო მღელვარება გამოიწვია.

ამერიკელი კორესპონდენტები ამტკიცებენ, რომ გერმანიის მთავრობის და პოლიტიკურ წრეებში ძლიერდება მიმართულება, რომელიც მოითხოვს, რომ გერმანიის მთავრობის წევრნი არ დაემორჩილონ საფრანგეთ-ბელგიის დადგენილებას. ამ დადგენილებამ გერმანიაში დიდი მღელვარება დაბადა.

რკინის გზის ქსელი.

მოსკოვი. 15 თებერვალი. საფრანგეთ-ბელგიის ხელისუფლებამ დაადგინა რურისა და რეინის რკინინის გზის ქსელის გაერთიანება, რათა ეს ქსელი ჩაყენებულ იქნას საფრანგეთის რკინის გზებთან უფრო მტკიცე კავშირში. მთელი რკინის გზის მმართველობა გადავა საფრანგეთ-ბელგიის ადმინისტრაციის ხელში. ამ ზომების განსახორციელებლად განზრახულია რურში კიდევ 10.000 რკინის გზელ მუშა-მოსამსახურეების გაგზავნა.

სალითონო მრეწველობის ნაწარმოების გატანა.

მოსკოვი. 15 თებერ. საფრანგეთმა და ბელგიამ გერმანიას ნოტით მიმართეს, რომელშიაც იუწყებიან, რომ სარაიონო მრეწველობის ნაწარმოებთა რურიდან გერმანიაში გატანა, რეპარაციის წესით, აკრძალულია.

ახალი ამბები

— **დ. კობიძის გარდაცვალება.** რედაქციამ მიიღო მეტად სამწუხარო ამბავი: თებ. 14-ს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩვენი გაზეთის თანამშრომელი, ახალგაზრდა პოეტი ამხ. დავით კობაძე (დ. ივანიშვილი). 15 თებერვალს განსვენებულის ცხედარი წასვენებული იქმნა გურიაში.

— **მწერალ ბაჩანას ავადმყოფობა.** როგორც შირაქიდან იტყობინებიან ჩვენი ცნობილი მწერალი ბაჩანა (ძმა ვაჟა-ფშაველასი) მძიმე ავადმყოფი გამხდარა. ავადმყოფობა გართულებულია მეტად მძიმე პირობების გამოთაც. ბაჩანა საქ. სახ. განათ. კომისარიატიდან იღებს ყოველთვიურ დახმ. სახით. 2-ნახ. მილ. მ. და თუ ამ ახლო ხანებში ჩვენს შორეულ მთების მწერალს არ ექნა აღმოჩენილი რაიმე მატერიალური დახმარება მისი სიცოცხლე განწირული იქნება მოსასპობად.

— **ტფილისის ბირჟაზე** 15 თებერვლის, ოათრულ ქაღალდისა—555.000 სტერლინგი—4.050.000; დოლლარი—930.000; რუსული თუმნიანი—5.500.000 საბჭოს ნიშნები—1 9 პროც.

— **საქალაქო გადასახადისაგან განთავისუფლება.** ალმასკომის მცირე პრეზიდიუმმა დაადგინა, სამოქალაქო გადასახადისაგან განთავისუფლებულნი იქნან მხოლოდ ის პენსიონერები, რომელთაც სახელმწიფო დახმარების გარდა სხვა არავითარი შემოსავალი არა აქვთ, ხოლო ისეთი პირები, როგორიც არიან მეცნიერები, ხელოვანები, ლიტერატურულ ასპარეზზე მომუშავენი და სხ. რომელთაც სახელმწიფო აძლევთ პენსიას და ამავე დროს აქვთ სხვა წყარო შემოსავლის, სამოქალაქო გადასახადს იხდიან საერთო წესის მიხედვით.

— **სახალხო მოსამართლის დანიშვნა.** ტფ. ალმ. პრეზიდიუმმა მიიღო წინადადება, რათა ამხ. ბახტაძე დაინიშნოს ერთ-ერთ უბანში სახალხო მოსამართლედ.

— **ამხ. შაუმიაეის სახელობის სკვერი.** ტფ. ალმ. პრეზიდიუმმა დაადგინა ამხ. შაუმიანის სახელობის სკვერში წყალსადენის გაყვანის შესახებ სათანადო ხარჯთ-აღრიცხვა 81.790 000 მან.

— **ჯარიმა.** ტფ. ალმ. პრეზიდიუმის დადგენილებით წინადადება ეძლევა სამმართველოს განყოფილებას ყოველგვარი ჯარიმები ალებისათანავე შეიტანოს ალმასკომის სალაროში იმ განყოფილების დეპოზიტში ჩასარიცხავად, რომლის თქმითაც არის ჯარიმა აღებული.

— **ჯანმრთელობის კომისარიატში.** ჯანმრთელობის კომისარიატთან დაარსდა სამეცნიერო საბჭო, რომლის წევრებად დამტკიცებულ იქნენ საფარმაცევტო და ქიმიურ საქმეების პროფესორები—ქუთათელაძე და კუპცისი ბაქტერიოლოგიურის პროფ. აძირეჯიბი და ექიმი ციავა, პატალოგიურ ანატომიის—მუხრანსკი, ფსიხიატრულ და ნერვოპატალოგიურის პროფ. ანფიმოვი, ქირურგიული—პროფ. მუხაძე, და ექ. ვესელოვზოროვი, ბალნეოლოგიის და კლიმატიულოგიის—პროფ. ალადაშვილი და მოსეშვილი, საექიმო-სასანიტარო ნაწილის—ექ. მიქელაძე და ვესელოვზოროვი, მალიარიის—ექ. ვირსელაძე და კანდელაკი სპეც. ავადმყოფობის—ექ. გოფაძე და ღულაძე, სამოსამართლო მედიცინის პროფ. ვისრეევი, კონსულტატათ მიწვეულნი არის ქიმიკოსი პრ. მელიქიშვილი.

— **გადასახადების შემოსავალი ს. ს. ს.** 1922 წ. რ. (ნაწილობრივად 1921 წ.) ს. ს. ს. რ. შემოვიდა პირდაპირი გადასახადების სახით 161 მილიარდი 379 მილიონი 105.540 მან. ქართული ბონებით. გაწერილი იყო შემოსავლის კვალობაზე 1922 წ. 101 მილიარდი, 928 მილ. 816.437 მან., არაპირდაპირი გადასახადი 169.647.446.130 მან., სხვა და სხვა გადასახადები—20.785.145.081 მ. ერთად ჯამი სახელმწიფო გადასახადებისა უდრიდა 453.740.051.188 მან. ამას გარდა ადგილობრივ ორგანოების მიერ აკრებილ იქმნა ადგილობრივი გადასახადები, რომლის რაოდენობა უდრის 85.689.924.000 მან.

— **გურიაში დაღუპულთა ჩამოსვენება.** თებერვლის 15-ს ტფილისში ჩამოსვენებული იქნა გურიაში ბანდიტების მიერ მოკლული ამხანაგები: საშა ობოლაძე, სანიკიძე და ჩუბინიძე. სადგურზე მიცვალებულთ შეხვდა ქართული და რუსული ჯარის ნაწილები და მუშათა წარმომადგენლები — დროშებითა და გვირგვინებით. დღის 1 საათზე მიცვალებულთა გვამები შეასვენეს ცენტრალურ წით. არმიელთა კლუბში. აქედან მათი გამოსვენება მოხდება თებერვლის 16-ს, დღის 3 საათზე.

— **საქმე რევოლიუციონურ ტრიბუნალში.** თებერვლის 10, სამხედრო რევოლიუციონურ სატრანსპორტო ტრიბუნალში გაირჩა საქმე საბარგო „კონდუქტორების“ ვ. ლეჟავასი და ი. მომახშვილისა, რომელთაც ბრალდებოდათ მათი ვაგონიდან 28 ფუთი მანუფაქტურის დაკარგვა. სასამართლოს კვლევაძიებამ დაამტკიცა მათი ქურდობაში უდანაშაულობა ხოლო სცნო საქმისადმი უყურადღებობა, რომლის მიზეზითაც ისარგებლეს კიდეც ბოროტმოქმედებმა. ორთავეს მისჯილი ექნა სამი წლით იზოლიაცია და აღუკვეთა თავისუფლების.

— **ექსპლოატაცია ფულის გადაცვლაზე.** როგორც ცნობები მოდის, ამ უკანასკნელ ხანებში ირკვევა შემდეგი არა ნორმალური მოვლენები, ქართული ბონების სახელმწიფო სალაროში გადაცვლის დროს. თანახმად დადგენილი წესისა, ბონების გადაცვლა განისაზღვრება 10 მილიონით თითო პირზე, რაც თურმე რასაკვირველია ვერ აკმაყოფილებს, ჯიბე-გასქელებულ ვაჭრებსა და სპეკულიანტებს, რომელთაც სალაროში ტომრობით მოაქვთ ასეული მილიონები. ეხლა ამ პირთ უპოვიათ ახალი საშუალება „კასის გაცურებისა“ და სხვა და სხვა ადგილებზე და განსაკუთრებით ალექსანდრეს ბაღში მონახავენ ქუჩაში მოხეტიალე ყმაწვილებს, ქირაობენ მთელ ჯგუფს ასეთებისას, აძლევენ ყოველ მათგან ათ-ათ მილ. და აყენებენ სალაროს კასის რიგში, თითონ კი შორიდან უთვალთვალებენ. ამრიგად ხდება კვლავ სპეკულიანტური ექსპლოატაცია და მით უმეტეს მოზარდების გარყვნაც.

— **დახმარება წითელ ფლოტს.** წითელი ფლოტის არსებობის 5 წლის თავის აღსანიშნავად ტფილისის სახელმწიფო და სახელმწ. დაწესებულებების მუშა-მოსამსახურენი იღებენ ერთდროულ დახმარებას. უკანასკნელი ცნობებით 1 დღის ხელფასი გადასდეს შრომის დაწესებულებების: ხაზინის ქალ. 1 და 2 საავადმყოფოს მუშა-მოსამსახურეებმა აგრეთვე დახმარება შეაგროვეს და გადასცეს ქარხანა „ტემზას“ მუშებმა.

— **სახალხო მკვებავთა კავშირში.** სასალხო მკვებავთა კავშირმა გასულ იანვრის თვის განმავლობაში უმთავრესი ყურადღება მიაქცია უმუშევრობის საკითხს. ამის გამო დაარსებულ იქმნა სპეციალური უმუშევრობის კომისია 5 კაცისგან შემდგარი შრომის კულტურულ განყოფილებამ იანვარში მუშათა ფაკულტეტზე გაგზავნა 3 წევრი. თეატრის ბილეთები რომელიც მიღებული იყო საქართვ. პროფ. საბჭოდან ნაწილდებოდა წევრების შორის ადგილკომების საშუალებით კულტ. განყოფილების ფინანსიური მდგომარეობა მეტად უნუგეშოა და ეს ბევრნაირად აფერხებს კავშირის კულტ. მუშაობას.

ეკონომიური ცხოვრება

ცეკავშირი. ახალ გამგეობის შედგენის დღიდან შედგენილ იქმნა მომავალ მოქმედების გეგმა. შედგენილ იქმნ ფინანსიური და ოპერატიული ხარჯთ-აღრიცხვა 1923 პირველ სამ თვისთვის. სატრიალო თანხა წინასწარ განსაზღვულ გეგმის რეალიზაციისათვის შეადგენს 227,000 მან. ოქროთი, რომელიც უკვე იმყოფება გამგეობის განკარგულებაში. განზრახულია შეძენა შემდეგი საგნებისა: სიმინდი—300 ათასი ფუთი, ლობიო—10 ათასი ფ., კარტოფილი—10 ათასი ფ., ხახვი—5,000 ფუთი. ჩაი—1000 ფ. შვეიცარიის ყველი—500 ფ. კვერცხი—1.000.000 და სხ. კავშირის საწარმოო დაწესებულებანი უკვე მოქმედებენ. გორის საკონსერვო ქარხანა შეკეთებულია და ტექნიკურად მოწყობილია. ამ ჟამად საწარმოო განყოფილება აწყობს აბრეშუმის საქსოვ ქარხანას ტფილისში.

ბათომის ბირჟის ახალი წესდება, ბათომის ბირჟის კომიტეტმა უმ. სამ. საბჭოს, ამიერ-კავკ. საგარეო ვაჭრობის, რ. ს. ფ. ს. რ. სახ. ბანკის, ცეკავშირის და ბათომის ვაჭარ-მრეწველთა წარმომადგენლების თანადასწრებით მოისმინა ახალი წესდება ბათომის ბირჟისა და შეადგინა 4 კაც. შემდ. კომ. კომისიას ევალება ტფილისიდან ბირჟის ინსტრუქციის მიღებისთანავე გადახედვა ახალი, წესდების და მისი წარდგენა ბათომის ბირჟის კომიტეტისადმი დასამტკიცებლად

— **საქონელი რომელიც აკრძალულია ამიერ-კავკასიაში შესატანად.** თანახმად შ. ს. ს. კ. კოლეგიის დადგენილებისა დროებით აკრძალულია ამიერკავკასიის ფარგლებში შეტანა თევზის კონსერვების, ბრინჯის და სხ.

პროვინციის ცხოვრება

— **ანტირელიგიური პროპაგანდა.** მეჯვრისხევ ს თემში (გორის მაზრა) ანტირელიგიური პროპაგანდა წარმატებით მიმდინარეობს. თითქმის ყველა სოფლებში წაკითხული იქმნა მოხსენებები სამღვდელოების მოქმედების შესახებ. მრავალ სოფელში გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნულია საეკლესიო დღესასწაულების უკუგდება. იყო შემთხვევები, როდესაც მიტინგებზე გლეხები მოითხოვდენ ადგილობრივ მღვდლების პასუხისგებაში მიცემას წარსულსა და აწმყოში ჩადენილ ცოდვების გამო. სასულიერო პირები სიჩუმით ხვდებოდნენ პროპაგანდისტ გლეხთა გამოსვლებს, რამაც დიდად დასცა „მამების“ ავტორიტეტი,

— **შავი ზღვის რკინის გზის გაყვანისათვის.** აბხაზეთის სახ. კომისართა საბჭომ მიიღო ცნობა მოსკოვიდან, რომ რკინის გზის ტრანსპორტის უფროსის მოადგილე ინჟ. ბენიაშევიჩი და ახალ გზების გამყვანი განყოფილების უფროსი ინჟ. ემელიანოვი მოითხოვენ შავი ზღვის რკინის გზის გაყვანის საქმის დამთავრებას. ამ დღეებში შესდგება თათბირი ინჟ. ბორისოვის თავმჯდომარეობით.

— **სპეკულიაციასთან ბრძოლა.** აჭარის შინაგან საქმეთა კომისარიატმა დაამტკიცა წესდება მეფურნეებისა, რომლებიც ხსნიან პურის ფქვილის კანტორას სპეკულიაციასთან ბრძოლის მიზნით.

— **ჰიდრო-სადგურის აშენებისათვის** სოფ. ბობოქვათი (ქობულეთის ხაზ.) შუამდგომლობა აღძრა ჰიდრო სადგურის აშენებისათვის ნდ. დღეზე. შუამდგომლობას ასაბუთებენ იმით, რომ საჭიროა ჩაის დამუშავება მანქანების საშუალებით და განათლების საჭიროებით.

— **უცხოელების რეგისტრაცია.** ბათომში დაიწყო უცხოელების რეგისტრაცია, რომელიც გასტანს აპრილის შუა რიცხვამდე.

— **ბათომის ნავთსადგურში.** თებერვლის 12 მოადგა ბათომის ნავთსადგურს რუსეთის გემი „აი პეტრი“, რომელმაც მოიტანა ბენდერ-ერეგლიდან 62.5000 ფუთი ნახშირი.

— **ახალი სადამოჟნო გადასახადები.** თებერვლის 12-დან ბათომში დაწესდა გადიდებული აქციზი შაქარზე, ყავაზე, ჩაიზე და სხ.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია გორის სამაზრო მილიციასთან გაიხსნა ორთვიანი კურსები. კურსების მიზანია წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია მილიციელთა შორის. მეცადინეობა დაიწყო. მოწვეულია ორი მასწავლებელი. წერა-კითხვას სწავლობს 145 მილიციის თანამშრომელი.

უპარტიო გლეხთა კონფერენცია. სოფ. მეჯვრისხევში (გორის მაზ) ამ დღეებში მოწვეულ იქმნა თემის უპარტიო გლეხ-კაცების კონფერენცია, რომელსაც დაესწრო—60 დელეგატი. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: საბჭოთა ფედერაციის მდგომარეობა, საბჭოთა ფედერალური ყრილობა, სასოფლო-მეურნეობის აღდგენა და კულტურის გაუმჯობესობა, საბჭოთა ხელისუფლების საგადასახადო პოლიტიკა, კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა სოფლად, ადგილობრივი მეურნეობის საკითხები. კონფერენციამ გამოიტანა მთელ რიგი რეზოლიუციებისა, რომლებიც მიღებული იყო ერთხმად.

გაზეთების მდგომარეობა ბათომში. გაზეთ „პროლ. ბრძოლის“ და „მშრომელ ბათომის“ შუამდგომლობაზე დახმარების აღმოჩენის შესახებ პრეზიდიუმმა იქონია მსჯელობა და დაადგინა: ამ საკითხის მთლიანად გადაწყვეტა შეჩერებულ იქნას აჭარის ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებამდე და მის ანგარიშში კრედიტის მიცემამდე.

ჯერ კი წინადადება მიეცეს ორთავე გაზეთის რედაქციებს, რათა დაუყონებლივ შეუდგინ, როგორც შტატის, აგრეთვე გაზეთის ფორმის შემცირებას და წარმოადგინონ ცენტრ-ალმასკომში მინიმუმამდე შემცირებულ ხარჯების სმეტა.

საფუთო გადასახადი. იმავე პრეზიდიუმის დადგენილებით, საფუთო გადასახადის პროექტი წარდგენილ იქნება ცენტრში დასამტკიცებლად. პროექტის ცენტრში დასამტკიცებლად წარდგენისათვის დაინიშნა კომუნალურ მეურნეობის წარმომადგენელი.

დანიშვნა. აჭარის რევტრიბუნალის თავმჯდომარის მოადგილეთ დაინიშნა ამხ. იუსუფ მახარაძე.

სახ. მოსამ. საბჭოს კოლეგიის დამტკიცება. ცენტრალმასკომის პრეზიდიუმმა დაამტკიცა იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი კანდიდატურა მოსამართლეთა საბჭოს თავმჯდომარის ადგილზე ამხ. ფოცხაძე და კოლეგიის წევრად კი ბეჟურიშვილი.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დაინიშნა ამხ დურსუნ ქიქავა.

ცენტრალმასკომის სხდომების დღე. ცენტრალმასკომის პრეზიდიუმის სხდომები დაწესებულია კვირაში ერთჯერ, ხოლო პლენუმის კი ორჯერ.

ბავშთა სახლი № 2. ბავშთა სახლში № 2, რომელიც იმყოფება კომუნალური მეურნეობის განყოფ. განკარგულებაში ამ ჟამად იმყოფება 120 ბავში.—ეროვნების მხრივ ბავშები განიყოფებიან შემდეგნაირად: ქართველი 9, რუსი 86, სპარსელი 2, სომხები 10, გერმანელი 4, აისორი 1, ბერძენი 2, ებრაელი 3, თათარი 12, პოლონელი 1, ინგლისელი 1.

ფინანსი. თანხა შემოსული სხვა და სხვა გადასახადებისაგან 1922 წ. განმავლობაში კომუნალურ მეურნეობის სალაროში, უდრის სულ 42,246,31,066 მ. 313,398 მან. ოქროთი.

საგარეო საქსახკომის წარმომადგენლობის ფუნქციები აჭარაში. ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტის ძალით, საგარეო საქმეთა წარმომადგენლის ფუნქციები თანახმად საკავშირო საბჭოს განკარგულებისა გადაეცა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს.

— ამ ჟამად ეს ფუნქციები თანდათანობით გადადის სახკომსაბჭოზე.

— **ჯანმრთელობის კომისარიატში ეპიდემია.** ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებულ საეპიდემიო-სანიტარული განყოფილების ცნობით ყვავილით დაავადმყოფებულთა რიცხვი ბათომში ამ ჟამად საგრძნობლად შემცირდა.

— **გემის მოსვლა.** მოვიდა გემი „ემპაირ-ეროუ“ და არგოსის სახელზე წაიღებს 11.000 ტონ ტვირთს.

რელიგია

წერილი მეორე

რა იყო ქრისტეს მოძღვრება?

„არა კაც ჰკლა. არა იმრუშო! შეიყვარე მოძმე შენი, ვითარცა თავი თვისი. იყვარებდეთ ურთი-ერთ არს,“ და სხვ. ასეთი.

მაგრამ ქრისტიანი სახელმწიფოები, ის ხალხები, რომელთაც ღრმად იწამეს ქრისტიანობა—ასრულებდნენ თავიანთ მოძღვარისა და ღმერთის დადებულ წესებს?

ქრისტიანობა, როგორც უკვე ვსთქვი პირველ წერილში, გარდაიქცა საშვალებად პატარა ხალხების და საერთოდ ერთი მეორის დაპყრობის საშვალებად, ჩაგრულთა ჩაგვრისა და [illegible] გვარი ინკვიზიციის, ტანჯვა-წვალების და ხალხთა განადგურებისა. ვინ ჩადიოდა ამას?

ისევ ძველი ბატონები.

ქრისტე ტვირთმძიმეთათვის იყო მოვლინებული ქვეყნად. მაგრამ ვინ იწამა იგი? იმან, ვინც ტვირთმძიმეთა კისერზე ჰქონდა მორთხმული ფეხი, საშინელი დაცინვა იყო ბედისა: შენ რამდენიც გინდა იქადაგე წმინდა მიზნები, შენ რაც გსურს ის მოიგონე ტვირთმძიმეთათვის, მე იმას შენზე ადრე ვიწამებ და იმის სახელით ისევ გაგაძრობ ტყავსაო. მართლაცა და აბა მოიგონეთ ყველაფერი ის, რასაც ქრისტეს სახელით აკეთებდნენ საწყალი ხალხის ზურგზე მობუღრავე ჯვაროსანნი.

არავინ არ იყო ისეთი სასტიკი და მკაცრი ჯალათი, როგორიც იყო სასულიერო წოდება, რომელსაც გულზე ჯვარი ეკიდა ნიშნად კაცთმოყვარეობისა და ბოროტებას, აუწერელ ჯალათობას კი ჩადიოდა. გაიხსენეთ საშუალო საუკუნოები, როდესაც ძალა-უფლება ხელში ჩაიგდო სამღვდელოებამ.

აქედან აშკარა გამოდგა რომ სასულიერო წოდება, პირველი თვითონ არღვევს და პირველი თვითონ ჰბილწავს თავის მიერვე აღიარებულ სარწმუნოებას. მოკლედ რომ ვსთქვათ ის ადამიანი, რომელიც მეტსა ქადაგებს პატიოსნებაზე და სიყვარულზე. ზოგჯერ ყველაზე მეტი უპატიოსნო და უსიყვარულო თვითონ არის.

იქნება.

მოწერილი ამბები

წერილები სოფლიდან.

არტუანული ჰები.

ლალისყურიდამ ათიოდე ვერსზე, მდინარე ალაზნის გამოღმა, ძევს სოფელი გულგულა. რადგანაც სოფელს ერთი პატარა უსუფთაო რუს მეტი სხვა სასმელი წყალი არა ჰქონდა, იქაურმა მცხოვრებმა კომუნისტმა კოლელიშვილმა დიდის თავ-გამოდებით ამოათხრევინა ოც საჟენიანი ჰა, მაგრამ რა შეღავათს მისცემს ერთი ჰა ამოდენა სოფელს, თითონაც მიჰხვდებით: მარტო თოკის ხარჯი იანგარიშეთ დღევანდელს სიძვირეში და ახლა წყლის ამოღება ვედროთი იმოდენა სიღრმიდამ?!

სულ სხვა არის არტუანული ჰა და ამიტომ მომყავს აქ ცნობები ამ ჰების შესახებ, იქნება გამოჩნდენ მეორე კოლელიშვილები და თავს იდვან მისი გაკეთება ისეთ უწყლო სოფლებში, და გამოსადეგ ადგილებში, როგორიც გულგულა და ხსვა ადგილებია ჩვენს ქვეყანაში…

არტუა არის ერთი მაზრათაგანი საფრანგეთისა. ძევს მის ჩრდილო ნაწილში, პადეკალის სრუტის პირად. მცხოვრებნი მისნი უხსოვარ დროიდამ მისდევენ ისეთი ჰების კეთებას, რომ წყალი დედამიწის სიღრმიდან თითონ ამოდის ზევით და ხშირად, შადრევანსავითაც სცემს მაღლა.

ასეთის ჰების კეთება აქედან სხვა ქვეყნებმაც ისწავლეს და ამიტომ ასეთს ჰებს **არტუანულს ჰებს** ეძახიან. ავხსნათ, როგორ აკეთებენ ასეთ ჰებს და რაზეა დამყარებული მისი კეთება.

ამის გასაგებად საჭიროა გავახსენო მკითხველს ჩვენი დედა მიწის ზურგისა და მისი ქვედა ნაწილების აგებულება. მოგეხსენებათ, რომ მიწა ყველგან ერთნაირი არ არის: ზოგან თიხაა, ზოგან შავი მიწა, ზოგან ქვიშა და ზოგან სალი კლდე, ყველა ეს მიწები, ხშირად, შესანიშნავ რიგზე და კეც-კეცად აწყვია ერთმანეთზე, მაგალითად, ჯერ შავი მიწა ჩანს; და სხვა ამგვარად. მოგეხსენებათ ისიც, რომ ყველა მიწებში, ქვიშა ყველაზე უფრო ფხვიერია და წყალს ვერ იკავებს, თიხა კი, პირიქით, ძლიერ მკვრივია და ერთხელ რომ გაიჟინთება წყლით, დანარჩენ წყალს ველარ იშრობს და ზემოდან აჩერებს. ამიტომ არის, რომ სადაც ნიადაგი ქვიშნარია, იქ მიწა მუდამ მშრალია, რაც უნდა ბევრი წვიმა მოვიდეს ასეთ ადგილებში, ხოლო თუ ნიადაგი თიხაა და წვიმაც ხშირად იცის ამ ადგილებში, იქ უეჭველად ჭაობა კეთდება, რადგანაც თიხა წყალს არ უშვებს ქვეით და წყალი სულ მის თავზე გროვდება და გუბდება.

წარმოიდგინეთ ახლა ისეთი აგებულება მიწისა რომ ჯერ იყოს შავი მიწას მერე ქვიშა და ბოლოს თიხა.

წვიმების დროს წყალი გაატანს—რა შავ მიწას და ქვიშას, მიაღწევს თიხას და რადგანაც თიხა მკვრივია და წყალს ქვეით არ უშვებს, წყალი სულ მის თავზე გროვდება და, ხშირად, თვით ქვიშნარშიაც გუბდება.

ჩვენ რომ ბურავოთი გავხვრიტოთ ეს ადგილი, თიხის თავზე დაგროვილი წყალი მაშინვე შადრევანივით ამოხეთქა მაღლა, რადგანაც მიწის ზედაპირიდამ ჭვიშნარით ჩამდინარე წყალი და ჰაერი აწვებიან დაგროვილ წყალს და რა კი

ნახვრეტი აქვს, წყალი შადრევანად სცემს, აი ასეთ ჭებს ეწოდება არტეზიული ჭა.

1833 წელს დაიწყეს ბურღვა ასეთი ჭისა პარიზში და შვიდს წელიწადში ამობურღეს ნახევარ ვერსამდე (251 საჟენამდე სიღრმით). ეს ჭა დღესაც არსებობს პარიზში და აძლევს პარიზელებს ყოველ დღე სამას ათას ვედრო მშვენიერ ანკარა ცივ წყალს. მრავლად არის გაკეთებული ასეთი ჭები რუსეთშიაც. მაგალითად: პეტროგრადში (ასი საჟენი აქვს სიღრმე); ხარკოვში (322 საჟ.) და სხვა. შესანიშნავია არტეზიული ჭა ქ. რეველში, სადაც იგი ამობურღეს ზღვის პირად და 45 საჟენ სიღრმიდამ მიიღეს სასმელი წყალი, თუმცა, როგორც ვიცით, თითონ ზღვის წყალი მომლაშო-მომწარო გემოსია და არ დაილევა. 1854 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ქ. სენ-ლუიში ამობურღეს მთელ ქვეყანაზე უღრმესი არტეზიული ჭა, მაგრამ ამოხეთქილ წყალს გოგირდის სუნი ჰქონდა და სასმელად არ გამოდგა. ამობურღეს ახლა სხვა ადგილას და თუმცა ერთ ვერსზე მეტი სიღრმე ამობურღეს, წყალი არ ამოვიდა და მუშაობას თავი ანებეს. ჰესენში (გერმანიაში) აქ ამობურღეს სამი ჭა და ჩვეულებრივი სასმელი წყლის მაგივრად მიიღეს მომლაშო მუშხუნა წყალი.

შესანიშნავია აგრეთვე ჰუნგრეთის დედაქალაქის ბუდაპეშტის ჭა 485 საჟენზე ამოღებული, რომელიც ყოველდღე იძლევა 150,000 ვედრო მშვენიერ ცხელ წყალსა, ხოლო, მეორე ასეთივე ჭა ჰუნგრეთშივე იძლევა ნახევარ მილიონ ვედროზე მეტს ისევ ცხელ წყალსა. წყალი ისეთი ძალით ამოდის, რომ ათი საჟენის სიმაღლეზე ისვრის მას.

შესანიშნავია ერთი მოვლენაც: როცა ქ. ბოხუმში ამობურღეს არტეზიული ჭა, ოცდა ორი საჟენი სიღრმიდან წყალს თან ოცი თევზიც ამოყვა!..

არტეზიულ ჭებს აკეთებენ დიდი ბურღების შემწეობით და რომ ამობურღული ადგილი არ იშლებოდეს, თან რკინის ანუ ხის მილებს აყოლებენ. სიგანე ასეთ მილებს სულ რამდენიმე გოჯი აქვთ, ხოლო ჭის სიღრმე, როგორც ზევით ვნახეთ, ხშირად, რამდენიმე ასს საჟენსაც აღწევს. ამიტომ ბურღებს და მილებს ნაჭერ-ნაჭრად უშვებენ მიწაში.

მრავლად არის არტეზიული ჭები ჩინეთშიაც. მაგალითად, მარტო ერთ პროვინციაში ჩინელებს გაკეთებული აქვთ ათი ათასზე მეტი ასეთი ჭა, რომელთ სიღრმე აღწევს 300—450 საჟენამდე, ხოლო სიგანე ერთ მტკაველამდე. არის აქ ისეთი ჭებიც, რომელთ ამობურღვაზე მუშაობდა რამდენიმე თაობა.

ჩვენს დროში არტეზიული ჭების კეთება გახდა მთელი თემებისა და პროვინციების კეთილდღეობის წყაროდ, რადგანაც ზოგი არტეზიული ჭა იმოდენა წყალს იძლევა, რომ რწყავს მთელ არე-მარის ბოსტნებს, ბაღებს და მინდვრებს. ასეთი სამეურნეო არტეზიული ჭების კეთებით სახელი გაითქვეს მეტადრე ფრანგებმა ალჟირეთში, რომელიც მათ ეკუთვნის და ძევს ცხელ და უწყლო აფრიკაში.

ურიგო არ იქნებოდა, ეცადათ ჩვენს სპეცებსაც ერთ-ორ ადგილას ასეთი ჭების ამობურღვა ტფილისის ცხელ აბანოებთან, იქნება ცხელი წყალი შეგვმატებოდა და აბანოები გაგვეფართოვებინა..

ჩადუნა ბალახის სარგებლობა.

ჩადუნა ბალახი საუკეთესო საშუალებაა სიდამპლის წინააღმდეგ, რადგანაც აქვს თავისებური სუნი, რომელიც ძლიერ ეჯავრებათ მწერებს. შემჩნეულია, რომ სადაც ჩადუნაა, იქ ობი არა ჩნდება. ამიტომ კარგად იქცევიან ჩვენი მეურნენი, რომ ყურძენს დაწურვის დროს საწნახელში ჩადუნას უყრიან და ქვევრის პირზედაც ამას უწყობენ სარქველის ქვეშ.

ჩადუნას ხმარობენ ევროპაშიაც ხილისა თუ კარტოფილის გადაზავნის დროს შორეულ მანძილზე. ახვევენ ჩადუნაში დაჭრილ „სელიოდკებსაც“, რომ მალე არ გაიხრწნას.

კარტოფილის შესანახავ ორმოებს უფენენ ძირში და გვერდებზე ჩადუნას და კარტოფილი მშვენივრად ინახება.

ბევრგან გლეხები სტენავენ ბალიშებს და ლეიბებს ჩადუნა ბალახით და ამით აღარ ჩნდება ბუზი, ყურბელა და სხვა. ჩადუნის ზოგიერთ ჯიშს საჭმელად და ჩაისთვისაც ხმარობენ.

ივანე როსტომაშვილი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 29.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისა და გამოცხადებულ საკურორტო ადგილებში სანატორიუმებისა და დამხმარე დაწესებულებათა მისაწყობად გამოსადეგი სადგომებისა და შენობათა საკურორტო სამმართველოს გამგებლობაში გადაცემის შესახებ.

რესპუბლიკის მშრომელთა საკურორტო ექიმობის პირობების გაუმჯობესებისათვის სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ერთი თვის განმავლობაში დღიდან საკურორტო ადგილის საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისა, გამოცხადებისა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის წარმოებითი გეგმის თანახმად საქართველოს სოციალ. საბჭ. რესპუბლიკის ყველა საკურორტო ადგილში, რომელიც აღიარებულ იქნება საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისად, განთავისუფლდეს და გადავიდეს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის საკურორტო სამმართველოს გამგებლობაში ყველა სანატორიუმებისა და დამხმარე დაწესებულებათა მოსაწყობად გამოსადეგი სადგომები და შენობა, რაც უჭირავს საბჭოთა დაწესებულებებს, მათ შორის სამხედროსაც. აგრეთვე საბჭოთა მოსამსახურეებს და პირთ, რომელნიც დაკავშირებულნი არ იქნებიან კურორტებთან ექიმობით ან წარმოებითი მხრით.

2. ყველა უწყება და ორგანიზაცია, რომლის გამგებლობაშიც ამ ჟამად არის სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამკურნალო ადგილების (კურორტების შესახებ გამოცემული დეკრეტის 2, 10 და 14 მუხლში აღნიშნული რაიმე ქონება, ვალდებულია მოახდინოს ამ ქონების გადაცემა ამ დადგენილების 1-ლ მუხლში ნაჩვენებ ვადაზე.

3. სახელმწიფო კურორტების აღსადგენათ სათანადო მუშაობის წარმოებისათვის მიეცეს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატს—საქართველოს კურორტების აღდგენის ხარჯთ-აღრიცხვით საჭირო თანხები და უპროცენტო სესხი განსაზღვრული ვადით და არსებული წესით.

4. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული საქმის განხორციელება იმავე მუხლში ნაჩვენებ ვადაზე დაეკისროს კომისიას, რომლის თავმჯდომარეთ დაინიშნოს ა. კ. რესპუბლიკათა მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის რწმუნებული საქართველოში, ხოლო წევრებად ჯანმრთელობის სახ. კომისარიატისა, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის და მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის წარმომადგენელნი.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ხაზაშვილი.

3 თებერვალი 1923 წ.

ტფილისი—სასახლე

გულო ალა კაიკაციშვილი

გაზ. „ტრიბუნა“-ში წავიკითხე გულსაკლავი ამბავი გულო ალა კაიკაციშვილის დაკარგვის შესახებ.

გულო ალა სიცოცხლით დამშვენებული და სპეტაკი მოღვაწე იყო საქართველოში.

გულო-ალა იმ რჩეულ და თავდადებულ მცირე რიცხოვან ქართველ მუსლიმანთა რიგს ეკუთვნოდა, რომელმაც გასულ საუკუნეში გაქართველებული ომი გამოუცხადა წმებულ აჭარის ახირებულ ასიმილატორებს.

გულო ალა ის ღირსეული ქართველი იყო, რომელიც არ წამოეგებულა არც ერთ „საორიენტაციო“ ანკესზე, არც ოსმალეთი არც რუსის ხელმწიფე, საქართველოსთან გაერთიანება და ეროვნულ თავისუფლების მოპოვება... აი, წმიდა ზრახვანი და საიდეალო მისწრაფებანი გულო ალასი. გულო ალა პირველი შეებრძოლა თანამემამულე რელიგიურ ფანატიზმს და მის ბრძოლას საფუძვლად ეროვნული და სოციალური პრინციპი დაუდო.

ღრმა მოხუცებამდე გულო ალას თვალი მცინარი და იმედიანი შეჰყურებდა საქართველოს, 80 წლის სიცოცხლე მან სამუსლიმანო მხარის მის სისხლ-ხორცი საქართველოსთან შეერთებას მოანდომა.

კაიკაციშვილი პირველი ქართველი მაჰმადიანი იყო, რომელიც გადურჩა მრავალ მტრების ანკესს, მათ დირიქორობას და „კულტურტრეგერობას“.

დიადი და ისტორიულია მისგან გათელილი გზა, რომელზე მოსიარულენიც უკანასკნელ წლებში არა ჩვეულებრივად გამრავლდენ.

დღეს ყველა აჭარელმა იცის თუ ვინ არის ის, მაგრამ ეს ასე არ იყო, ამ 10-15 წლის წინად. მაშინ სხვა გვარად ჰქროდა ქარი, ჩვენს სამშობლოს უამინდობის ულგა ჟამი, მაშინ მოღვაწეობა გმირობა და რაინდობა იყო, ხალხში, რაღაც ნირვანა მეფობდა, რა თქმა უნდა მტერი და მისი მახვილი ისე საშიში არ იყო, როგორც ის ფსიქოლოგიური უიმედობა მტრის წინაშე ქედის მოხრის აუცილებლობას რომ უქადაგებდა მშრომელ ხალხს.

მაგრამ გულო ალამ თავის ქრისტიან ძმებთან ერთად ამ ჯვარის გადააბიჯა და მტერი შეიცნა...

ბუნებით გულო ჭეშმარიტი ქართველი რაინდი იყო, მას არ შეშინებია. არც ოსმალეთის უდაბნოებში გაძევების და არც რუსულ ციხეების... მეც მოვესწარ მას ერთ ციხეში, სადაც განსვენებული თავის მხნეობით ახალგაზრდა მებრძოლს ჰგავდა. მე მის ღვაწლს კიდევ შევეხები, მხოლოდ ამ თავიდანვე ვიტყვი, რომ საჭიროა მის ხსოვნის და ისტორიულ ღვაწლის აღსანიშნავად ქართულ-თათრულ ენაზე კრებულის გამოცემა, რომელშიც მოთავსდება გულო ალას ბიოგრაფია, განვლილ ბრძოლის ეტაპები, გუშინდელ სამუსლიმანო საქართველოს ისტორია, ფსიქოლოგიური გარდატეხა ქართველ მუსლიმანთა მსოფლმხედველობაში და აგრეთვე თვით გულო ალას ნაწერები.

ირ-დი.

ქართველ მეფეთა დროის ფოსტის ამბავი

ბევრი მცოდნე კაცნი საქართველოს ისტორიისა ისე ფიქრობდენ, რომ ვითომც საქართველოში, ქართველ მეფეების დროს, ქართველებმა ფოსტა არ იცოდნენო.

ასეთი ყალბი ცნობები ქართველის ერის შესახებ დათესილ იქმნა იმ დროიდან, რაც საქართველოს სამეფო რუსეთის იმპერიას დაუკავშირდა 1801 წ. ამ დღიდან, რუსეთის სახელმწიფო კაცებმა დაისახეს თავის გულში, რომ მათ საქართველოს ერი ნაციონალურად უნდა დაემარხათ.

ამიტომაც იყო, რომ თვით დაშხამული ქართველებიც კი ლაპარაკობდენ, რომ ქართველთ მეფეების დროს, ჩვენ არაფერი ვიცოდითო, ჩვენ არც სტამბა გვქონდა, არც გაზეთები, არც თეატრი, არც სკოლები და არცა რა ფოსტა და ტელეგრაფიო.

ჩვენ დავასაბუთებთ ისტორიულის ფაქტებით, რომ ჩვენ სკოლებიც გვქონდა, სტამბაც, წიგნებიც, თეატრი და ფოსტაც.

მე-11 საუკუნეში, საქართველოს მეფე ბაგრატ მეოთხემ მეუღლეთ შეირთო ბიზანტიის იმპერატორის და ელენე, ეს ქალი როცა ბაგრატ მეოთხეს საქართველოში მოჰყვანდა, მათ აცილებდენ გზა და გზა ისეთი კაცნი, რომელნიც გზის ყარაულებათ იყვნენ დამდგარნი.

ამის შემდეგ, საქართველოს მეფე ბაგრატ მეოთხეს, ბიზანტიის მეისტორიებმა კეისარი და ზოგმა კეისართ კეისარიც უწოდა და ნუ თუ იმპერატორის მართვა გამგეობის დამყარების წინ საქართველოში ფოსტა არ იყო? ეს შეუძლებელია.

ამასვე ასაბუთებს ის გარემოებაც, რომ ფოსტის კაცებს ანუ გზის მაჩვენებელთ ჩვენ „ვეფხის ტყაოსანშიაც ვხედავთ.

„ვეფხის ტყაოსანის“ სხვა და სხვა გმირებს მგზავრობაში შეეძლიან და თავიანთ მიწას აცილებენ, რომელთაც შოთა რუსთაველი გზის მაჩვენებელთ ანუ „ყულაუზებს“ უწოდებს.

ასეთსავე საფოსტო წყობილებას საქართველოში ვხედავთ მეფე გიორგის ბრწყინვალის დროიდან, ანუ 1421 წლიდან. გიორგი ბრწყინვალემ საქართველო ფოსტის ყულაუზებით ისე მორთო, რომ თვით თავზე მთელი თავისი წინააღმდეგი მთავრები და თავადები მიეწვია ნადიმზედ და იქ ყველა თავის ურჩნი უნდა ამოეწყვიტა და მოესპო.

უპირველესად ყოვლისა, როცა ამან მთის ქართველებს „ძეგლის ნება“ მისცა, იმ დროს მან გზის მაჩვენებელნიც დაადგინა თვით თუშ-ფშავ ხევსურეთ-ოსეთში და შირვანისკენაც, ესეც ცხადი ჭეშმარიტება გახლავსთ და ნამდვილი. ამის უარყოფა არ შეიძლება, ჩვენ მაინც საქართველოს ფოსტის გამო ასე შორს არ ვივლით, ეს ერთობ შორს წავა და მთელი წიგნი დაიწერება ამაზედ და არა ეს პატარა წერილი.

ჩვენ მივალთ უფრო ახალს დროზედ და ჩვენს ახლო საუკუნეზედ, ეს გახლავსთ 18 საუკუნე, ანუ თეიმურაზ და მეფე ერეკლეს დრო და იმ დროის ფოსტის ამბავი რასაც აქვს ისეთი ისტორია, რომლის დასაწყისიც მისწვდება ძველს ჟამს, ანუ 11 საუკუნეს.

15 საუკუნის შემდეგ მუდამ, ჩვენ ვხედავთ ქართულს ფოსტის მცოდნე კაცთა რიცხვს და ყულაუზებს საქართველოდან ინდოეთამდის, აგრეთვე ავღანისტანს, ადრაბადაგანს, სპარსეთს და ბევრსაც სხვა ადგილებში, რომელიც ასევე „ვეფხის ტყაოსნის“ თანახმათ „ყულაუზები“ ეწოდებათ. ჩვენ ეს „ყულაუზები“ გზის მაჩვენებელ ფოსტმეისტრების მსახურ კაცებათ მიგვაჩნია, რომელნიც მგზავრებს აცილებდნენ აქეთ იქით თავიანთ ბინამდის.

ჩვენდა სამწუხაროთ, ასეთ გზის მაჩვენებელ და მგზავრთა მფარველ „ყულაუზების“ რიცხვი საქართველოში ისპობა 17 საუკუნის დამდეგიდამ ამ დრომ საქართველოს ფოჩტა ისპობა კოლეუტა მოდრიკელის, ისპობა ირანს, ავღანისტანს, დიარბეკირს, ქურთისტანს და ადრბაგანსაც კი.

ამ ქართველი „ფოსტ მეისტერის“ მოსპობის საქმეს დიდათ ხელს უწყობენ სპარსთა ყეინები და ამას ყველაზედ უფრო ბოროტათ შაჰ-აბაზ დესპოტმა შეეხო და ამის შემდეგ ამათივე მომდევარნი სხვა და სხვა ყეინები.

ერთათ ერთი ფოჩტა დარჩა საქართველოს მხრით ოსმალეთისაკენ, ესეც როგორ, ოსმალთათვის კი არა, არამედ კერძოთ, მარტოთ ბერძენთა და ქართველთათვის.

მართალია ბიზანტია დაეცა 1453 წ. ამის შემდეგ, არც საქართველო დარჩა შეუმუსრავი ოსმალეთიდან, ხოლო ქართველთა და ბერძენთა მეგობრობა და ძმობა მაინც არ მოისპო და თუმცა ხშირათ აღარა ემზგავსებოდენ ერთმანეთში ესენი, ვინაიდგან მათ კრიჭაში ედგა ოსმალეთის მთავრობის დესპოტიზმი.

მაგრამ მიუხედავათ ამისა, მაინც ქართველთაგან არ მოსპობილა ქართველთ მგზავრობა ძველს ბიზანტიისაკენ და ბიზანტიელნიც ხშირათ მოგზაურობდნენ საქართველოში. უმეტესად ესეთი მგზავრები იყვნენ ქართველთა და ბერძენთა სასულიერო პირები.

ქართველნი ხშირად მგზავრობდნენ ათონის [illegible] წმიდა ადგილებშიც, სადაც ქართველებს აქვნდათ გაკეთებული დიდი ძალი ისტორიული ძეგლიბი, დიდი ეკლესიები და სხვაც ასეთი ბევრი ნივთები, რომელთა რიცხვიც დიდს ყურადღებას იზიდავდა თვით ევროპიელთაგანაც.

ეს ცხადი გახლავსთ და ნამდვილი, ამასვე ასაბუთებს ისიც, რომ ეხლა ხომ, კონსტანტინეპოლის, ქართველ კათოლიკეთ მონასტრის ქართულს სტამბაში, ჩვენმა მამულისშვილმა პატრმა შალვა ვარდიძემ ფრანგულის ენიდამ სთარგმნა ქართულს ენაზედ ცნობილის მოგზაურის ჟანენის წიგნი და დასტამბა იქვე ქართულს ენაზედ.

ჟანენი ფრანგულს ენაზედ უჩვენებს ქართველებს დიდს წარსულს და მას მდიდარ ნაშთების და ძეგლების რიცხვს სინას, ათონს, პალესტინს, იერუსალიმს და სხვაგანაც ასეთ ადგილებში, სადაც დღემდეც კი დაცული არის დიდი ძალი განძეულობა ქართველის ერისა. თუმცა ისიც მართალი გახლავსთ, რომ ოსმალეთმა დიდათ დაამხო ბიზანტია და საქართველო, მაგრამ ამ ორის ერის ერთობას და მსვლელობას კი მათ ვერაფერი დააკლეს.

ქართველნი თავიანთ ძველს წინაპართა ნაშთების პატრონობას მაინც არ სტოვებდნენ და მიემგზავრებდნენ ქართველთ მღვდელ მთავრები, მეფენი, თავად-აზნაურები და სხვანიც, რომელთაც გზის ცოდნას და მგზავრებს მფარველობას უწევდა ტრაპიზონამდე ქართველი ბერები და ტრაპიზონიდამ კი ლაზები.

ცნობები არის, რომ ასეთ ქართველთა და ბერძენთა მოგზაურთათვის ფოჩტა ანუ გზის მაჩვენებელი ყულაუზები არსებობდენ ბერძნების მონასტერში, მონასტრამდის მეორე მონასტრამდე გზის მაჩვენებელ და წამყვან „ყულაუზებათ“ ბერძნის და ქართველთ ბერები მისდევდნენ და აცილებდნენ მონასტრამდის ისევე, როგორც ფოჩტიდამ ფოჩტამდე.

ამ ჯვარის ოსტატობით იყო გაბმული ბერძენთა და ქართველთა მგზავრობა საბერძნეთ და საქართველოდამ და ყოველივე ეს ისე ოსტატურათ აქვნდათ მოწყობილი, რომ ყველა ამაებს ოსმალეთის მთავრობა სულ ვერასვერს ამჩნევდა.

თუმცა ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ქართველთა და ბერძენთა მგზავრობას ოსმალეთის მთავრობის საწინააღმდეგო რამე მტრობა სრულებით არასფერი აქვნდათ, ასეთის მოხერხებით ქართველნი და ბერძნები იცავდნენ მხოლოთ თავიანთ თანამემამულეთა მგზავრობას, რომ იგინს გზაში ოსმალთა ყაჩაღებს არ გაეცარცვათ და არ დაეხოცათ.

ასეთ ჩუმათ მგზავრობის მოსპობა 1710 წლებში, მოიწადინა მეფე ვახტანგ მეექვსემ და როცა ამან საბა ორბელიანი საფრანგეთში, ლუდოვიკ მეთოთხმეტე და რომის პაპთან მოციქულათ გაგზავნა მაშინ ამ მეფემ მოაწყო და მოახერხა აშკარათ ქართველთ მგზავრობა და ამათ გზის მაჩვენებელთა ფოჩტის და ყულაუზების დანიშნა.

ვახტანგ მეფის შემდეგ ამისავე ასპარეზზედ სჩანს მეფე ერეკლე, რომელმაც საქართველოსა და რუსეთს შორის ეკატერინე იმპერატრიცის დროს, დაარსებულ იქმნა საქართველოს ფოსტა რუსეთის მხრით საქართველოს პირველი ფოსტა კავკავში იყო დადგენილი, რომლის მეთაური, ანუ ფოჩტმეისტერი გახლდათ გაბრიელ ყაზბეგი.

ჩვენის გენერლის ალექსანდრე ყაზბეგის წინაპარი, რომელმაც ამ ფოსტმეისტერის წყალობით ქართველ მეფეთაგან აზნაურისშვილობაც მიიღო.

ზ. პ.

(შემდეგი იქნება)

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

დაიკარგა პარტიული ბილეთი მოცემული მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ტფილისის კომიტეტისაგან № 135, პირადობის მოწმობა მოცემული სახალხო ბანკის სავაჭრო განყოფილებიდან და სხვადასხვა დოკუმენტები. ჩაითვალოს გაუქმებულად.
1—1 № 395.

საცხოვრებელი სახლების, სავაჭრო დაწესებულების და სასტუმროების პატრონებს ევალებათ შეიძ.ნონ სანიტარული რვეულები,

რომელიც უნდა წარუდგინონ ხოლმე მოთხოვნილებისათანავე სანიტარულ ექიმებს სათანადო შენიშვნების შესატანად. რვეულები უნდა შეიძინონ ყველამ თებერვლის ბოლომდე, ვინც აღნიშნულ ვადაში არ შეიძენს რვეულებს დაისჯებიან, თანახმად სავალდებულო დადგენილებისა. სანიტარული რვეულის შეძენა შეიძლება ქალ. ჯანმრთელობის განყოფილებაში—ველიამინოვის ქ. № 3.
295 3—1 სანიტარულ ეპიდემიის ნაწილის გამგე: მგელაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა